პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ოქტომბერი შაბათი 1968 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 252 (14248)

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინერ კომუნისტურ კავშირს

საინფორმაციო ცნობა

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის შესახებ

25 ოქტომბერს დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სახლში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმმა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

დელეგატები და სტუმრები მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. კელშეს, ნ. ვ. პოდგორნინს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ნ. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. კაბანოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, როცა ისინი პლენუმის პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ქვეყნის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კომკავშირულ ორგანიზაციათა დელეგაციები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, მეცნიერებნი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ცენტრალურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები.

პლენუმის სტუმართა შორის არიან სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის მოძმე კომუნისტური კავშირების, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდობის პროგრესულ ორგანიზაციათა დელეგაციები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაციები, საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები.

პლენუმი გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

დარბაზში შემოაქვთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დროშა, რკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშები, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კომკავშირულ ორგანიზაციათა დროშები.

დარბაზში მსხდომნი ოვაციით შეხვდნენ სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბ. ტრუშინის წინადადებას პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს არჩევის შესახებ.

საზეიმო პლენუმის მონაწილეთა წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მან წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისადმი, რომელსაც პლენუმის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ნ. ვ. პოდგორნინმ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბძანებულება „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ“.

კომკავშირის წითელ დროშას მიამაგრეს მთავრობის შეეკვეთ მაღალი ჯილდო — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე სრულიად საკავშირო ალკკ დამსახურების კიდევ ერთი ალიარება.

ნ. ვ. პოდგორნინმ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბძანებულება „ჩვენი ქვეყნის 89 კომკავშირული ორგანიზაციის ორდენებით დაჯილდოების შესახებ“ და გულითადად მიულოცა პლენუმის მონაწილეებს, ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდობას მთავრობის მაღალი ჯილდოები.

მოხსენება „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი“ გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

ოცდაათი წლების კომკავშირელთა თაობის სახელით პლენუმზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის პროფესორი, რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მე-8 ყრილობის დელეგატი, რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის უოფლი მდივანი ვ. ფ. ვასილიუტინი და პოეტი ა. ი. გეზიმანენკი.

ოცდაათიანი წლების კომკავშირელთა სახელით პლენუმს მიესალმა სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, რკინიგზის ტრანსპორტზე სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი პ. თ. კრივონოსი, ორმოციანი წლების კომკავშირული თაობის სახელით — საბჭოთა კავშირის გმირი, ომის ვეტერანთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ა. პ. მარესიევი, ორმოცდაათიანი წლების კომკავშირელთა სახელით სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი, მოსშენის № 1 ტრესტის მმართველი ბ. ბ. მასლენიკოვი.

სამოციანი წლების კომკავშირელთა სახელით პლენუმზე გამოვიდნენ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მფლცავი ვ. ბ. შახტარინი, გროზნოს ოლქის დიატლოვის რაიონის კოლმეურნეობა „სლავა ტრუდუს“ მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. ი. ხლოპიკი, ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი — ა. ბ. მიხაილოშკინი.

პლენუმის მონაწილენი გულითადად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირს სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას.

პლენუმის მონაწილეებს და მათი სახით საბჭოთა ახალგაზრდობას გმირი ვიეტნამელი ხალხის სახელით მხურვალედ მიესალმა და მიულოცა ვიეტნამის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვუ კუანმმა.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებს მიესალმნენ პიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლთა მოსწავლენი.

პლენუმის მონაწილეებმა კომკავშირელთა და საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით ერთსულოვნად მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის თვალსაჩინო დამსახურებისა და დიდი წვლილისათვის საბჭოთა ხელისუფლების ქმნადობასა და განმტკიცებაში, სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, აქტიური მონაწილეობისათვის სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდაში და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით **ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი** დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1968 წ. 25 ოქტომბერი.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინერ კომუნისტურ კავშირს

ნკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას ღირსშესანიშნავ დღესასწაულს, ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, რომელიც ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით შეიქმნა, კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი იყო და არის. კომკავშირის მთელი გმირული გზა განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ისტორიასთან, მუშათა კლასის, საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ლენინური კომკავშირი პარტიის გარშემო რაზმავს საბჭოთა ახალგაზრდობის ფართო მასებს, ეხმარება მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის მამაც და მტკიცე მებრძოლთა იდეურ აღზრდაში. ორმოცდაათი წლის მანძილზე სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში იდეურად გამოიწრთო, ორგანიზატორული და საზოგადოებრივი მუშაობის პირველი გამოცდილება შეიძინა ას მილიონამდე საბჭოთა ადამიანმა.

საბჭოთა კავშირის ორდენები ლენინური კომკავშირის ალისფერ დროშაზე იმის მკაფიო დადასტურებაა, თუ რა დიდად აფასებენ პარტია, მთავრობა და ხალხი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითს წვლილს ჩვენი სამშობლოს დიად მიღწევებში.

პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი თავდადებით და მამაცურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ლენინური კომკავშირის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლად შევიდა საბჭოთა ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა პირველი ხუთწლედების გეგმების შესრულებაში, სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტების — დნეპრჰესის, მაგნიტკის, ურალის მანქანათსამშენებლო ქარხნის აგებაში, ციმბირის, ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების უდიდესი სამრეწველო ცენტრების, ახალგაზრდობის ქალაქის ამურის კომსომოლსკის მშენებლობაში.

სამშობლო არ დაივიწყებს ახალგაზრდობის მასობრივ გმირობას ფრონტებზე და ზურგში დიდი სამამულო ომის წლებში. ბრძოლის ველზე საგმირო საქმეებისათვის კომკავშირის შვიდი ათასზე მეტ აღზრდილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, სამმილიონნახევარი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ანდერძის ერთგული 60-იანი წლების კომკავშირელები და ახალგაზრდობა წმიდად იცავენ და ამრავლებენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, თავდადებით შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამითა და პარტიის 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული დიდებული ამოცანების გადასაწყვეტად. და დღეს საბჭოთა ხალხი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას თანამედროვე მრეწველობისა და ენერგეტიკის გიგანტების, ფოლადის მაგისტრალების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, ახალი მიწების ათვისებაში, ვაჭრობის, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში, სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები — კომუნისტებთან ერთად გამოდიან სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ინიციატორებად, იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ცხოვრების, პატრიოტული წრთობის დიდ სკოლას გადის ახალგაზრდობა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში. აქ იღებს იგი საფუძვლიან სამხედრო ცოდნას, ეუფლება რთულ თანამედროვე ტექნიკას, იძენს საბრძოლო გამოცდილებას. ახალგაზრდა მეომრები თავიანთ უფროს თანამებრძოლებთან ერთად ფხიზლად ადევნებენ თვალს იმპერიალისტთა ხრიკებს, მზად არიან ყოველ წუთს დადგნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

თავის რიგებში აერთიანებს რა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, კომკავშირი ზრდის მათ სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით, კომუნისტური იდეურობის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სიამაყე სოციალისტური მონაპოვრებისათვის, შეურიგებლობა ბურჟუაზიული წყობილებისა და მისი იდეოლოგიისადმი, სოლიდარობა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლებთან, საზღვარგარეთელი კლასობრივი ძმებისადმი განუხრელი მხარდაჭერა — ასეთია საბჭოთა ახალგაზრდის დამახასიათებელი ნიშნები.

შრომისმოყვარეობა, ცოდნის წყურვილი, მოწინავე კულტურის დაუფლების, თავისი ჰორიზონტის გაფართოების მხურვალე სურვილი, კლასობრივი რწმენა და აქტიური ბრძოლა იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა წმიდად ასრულებს ილიჩის ანდერძს, იგი ცდილობს იმუშაოს და იცხოვროს ისე, როგორც დიდი ლენინი გვასწავლიდა. დღეს, როგორც ყოველთვის, საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდა თაობა აღსავსეა რევოლუციური ენთუზიაზმით, კომუნისტური იდეალების გამარჯვების ურყევი რწმენით.

კომუნიზმის იდეებისადმი, პარტიის საქმისადმი ერთგულებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში გამოჩენილი ინიციატივითა და ენერგიით ლენინურმა კომკავშირმა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა.

გრანდიოზულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, ახალი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის ამოცანები, რომლებიც ჩვენ უნდა გადაწყვიტოთ. და არაფერია უფრო ამაღლებული და კეთილშობილური კომკავშირელებისათვის, საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, ვიდრე ერთგული სამსახური ხალხისადმი, თავდადება ბრძოლაში კომუნიზმის საქმისათვის, პასუხისმგებლობა სამშობლოს ნათელი მომავლისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა კვლავაც აქტიური შემოქმედებითი ძალა იქნება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

კომკავშირის მოვალეობაა დაბეჯითებით იღვწოდეს, რომ კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი შემოქმედებითად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გამოიმუშაონ კლასობრივი თვითშეგნება, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, პრაქტიკაში უნარიანად იყენებდნენ მიღებულ ცოდნას. საჭიროა ყოველდღიურად გაგაფართოოთ და განვამტკიცოთ ურთიერთობა ახალგაზრდობის მასებთან, ავამაღლოთ კომკავშირულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობა, მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში. მხოლოდ კომუნისტური რწმენის ადამიანებს, მუშათა კლასის მტრებისადმი შეურიგებელთ, მამაც და მტკიცე ადამიანებს შეუძლიათ პირნათლად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც ისტორიამ დაუსახა სოციალისტურ საზოგადოებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას კიდევ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესვედრისათვის.

გაუმარჯოს ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ თანაშემწესა და საიმედო რეზერვს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას — ჩვენი სამშობლოს ბურჯსა და მომავალს!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ!

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი

ოდესაცამილიონიანი კომკავშირი ზეიმობს თავის 50 წლისთავს. ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო ლენინურმა კომკავშირმა საბჭოთა ხალხის მხარდამხარ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კომკავშირი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მთავარი პარტიული დავალება მას შისცა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში, კომკავშირი სამართლიანად ამაყობს იმითაც, რომ ლენინური პარტია მას შედამ ავალებდა ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე ძნელ საქმეს. და კომკავშირი მუდამ ამართლებს პარტიის მაღალ ნდობას.

სამოქალაქო ომი და პირველი კოლმეურნეობანი, დნეპრჰესი და მაგნიტკა, დიდი სამამულო ომი, ბრატსკი, ბაკან-ტაიშეტი და ლეგენდარული ყამირი — ეს არა მარტო სახელოვანი კომკავშირული ისტორიის ნიშანსვეტებია, არამედ თაობათა ცოცხალ კავშირსაც მოწმობს: სოციალიზმის პირველ მშენებელთა შვილები და შვილიშვილები მამებისა და პაპებისაგან იღებენ ესტაფეტს. და არის მაღალი აზრი ამაში, რომ საზეიმო პლენუმზე პირველი კომკავშირელები მოვიდნენ ძველ კომუნისტებად.

კრემლის ყრილობათა სასახლე. ჩვენი ქვეყნის მთავარი დარბაზი, სადაც ერთი წლის წინათ გაიმართა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ძირითადი ზეიმი. 25 ოქტომბერს აქ შეიკრიბნენ სხვადასხვა თაობის საბჭოთა ადამიანების წარმომადგენლები, რათა სახელოვანი 50 წლისთავი მიეღოცათ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისათვის.

სასახლის ფოიეში მოჩანს ლენინური კომკავშირის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ალისფერი დროშები. მათ შორის არის ლეგენდარული კრეისერის „ავროროს“ და პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვანი დროშები; კომკავშირის პირველი ყრილობისა და მოსკოვის დამცველებისგან სალგურის დეპოს მე-13 კომუნისტური შრომის ბრიგადის დროშა; დროშა, რომელიც კომკავშირელმა გგარდიელებმა აიმართეს ბერლინის ცენტრში, და კოსმონავტების ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დროშა.

—დილის 10 საათია. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. ბელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაბანოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.

დარბაზში შეკრებილნი მჭუხარე ტაშით ესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. მათთან ერთად პრეზიდიუმში არიან კომკავშირის ხელმძღვანელი მოღვაწეები, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რევოლუციისა და ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის გეტერანები, პლენუმის საპატიო სტუმრები, საზღვარგარეთის დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც ჩამოვიდნენ სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის ზეიმზე.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა. გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

შეკრებილთა სახელით, ჩვენი ქვეყნის ყველა კომკავშირელის სახელით ე. მ. ტიაჟელნიკოვი გულითადად მიესალმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

დარბაზში შემოაქვთ დიდებით მოსილი ლენინური კომკავშირის დროშები.

ე. მ. ტიაჟელნიკოვმა თქვა, რომ პლენუმს ესწრებიან მსოფლიოს 93 ქვეყნის 129 კომუნისტური და პროგრესული ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომკავშირის სახელით იგი გულთბადად მიესალმა უცხოელ სტუმრებს.

დარბაზის მჭუხარე ტაშის გრიალში საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე

ძვირფასო ამხანაგო კომკავშირელებო!

პატივცემულო პარტიისა და კომკავშირის გეტერნებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ძვირფასო მეგობრებო!

ორმოცდაათი წელი შეუსრულდა ლენინურ კომკავშირს. ეს საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულია. ჩვენ ყველანი, სხვადასხვა თაობის ადამიანები, დღეს ახალგაზრდად ვგრძნობთ თავს, იმიტომ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კომკავშირის რიგებში იწყებოდა. ნახევარი საუკუნე მცირე ვადა როდია, მაგრამ ჩვენი კომკავშირი არ ბერდება.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტების სახელით გულითადად მივულოცო ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას ეს დიდი და სასიხარულო დღესასწაული.

რევოლუციური ქარიშხლით შობილი, კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში გამობრძმედილი კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ღვიძლი შვილია, საბჭოთა ქვეყნის მებრძოლი ახალგაზრდობაა. მისი აკვანი დაარწია დიდმა ლენინმა. პარტია ყოველთვის მზრუნველობით ზრდიდა, აწრთობდა კომკავშირს, თავის საიმედო მებრძოლ რეზერვს.

1924 წლიდან კომკავშირი ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. როცა ეს ძვირფასი სახელი მიიღეს, კომკავშირელებმა ფიცი დადეს ეცხოვრათ, ემუშავათ და ებრძოლათ ლენინურად, წმიდად შეესრულებინათ დიდი მასწავლებლისა და ბელადის ანდერძი. დღეს ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კომკავშირი ამ ურღვევი ფიცის ერთგულია. კომკავშირის, ჩვენი ახალგაზრდობის ყველა სახელოვანი საქმე, ყველა მიღწევა, გაცისკროვნებულია ლენინური აზრით.

ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მაღალი შეფასება მისცეს კომკავშირის შესანიშნავ საბრძოლო და შრომითს საგმირო საქმეებს. ხუთი ორდენი ამშვენებს მის დროშას. დიდი სიხარულის გრძნობით მინდა გაცნობოთ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდესი დამსახურება კვლავ აღინიშნა: პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარდგენით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინური კომკავშირი მისი ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვა.

ეს ჯილდო ჩვენი ახალგაზრდობის თავდადებული პატრიოტული საქმიანობის საყოველთაო-სახალხო აღიარებაა, ახალგაზრდობისა, რომელიც ლენინის ანდერძის ერთგულია, რომელიც მთელ თავის მჩქეფარე ენერგიას, თავის გონებასა და ნიჭს აბრალს რევოლუციის, სამშობლოს დაცვის კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. ყველანი, ვინც საზოგადოებრივ საქმიანობას კომკავშირის რიგებში ვიწყებდით, აღფრთოვანებით შევხვდით ამ მოვლენას. მხურვალედ და გულითადად ვულოცავ კომკავშირელებს ამ საპატიო და დამსახურებულ ჯილდოს.

კომკავშირის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე მისი ცალეული ორგანიზაციები. ყველა მათგანს მხურვალედ ვულოცავთ და ვუსურვებთ ახალ შრომითს მიღწევებსა და შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კომკავშირელთა ახლანდელ მრავალმილიონიან რაზმთან ერთად სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს ახალგაზრდობის ლენინური კავშირის ყველა თაობა.

და ამ საზეიმო ჟამს ჩვენი პირველი სიტყვა ეკუთვნის იმათ, ვისი ახალგაზრდობაც შეერწყა მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას, იმათ, ვინც თავის გზას რუსეთის ახალგაზრდობის კავშირის რიგებში იწყებდა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლების ჟამს. კომკავშირულ ბილეთთან და რევოლუციურ მანდატთან ერთად ახალგაზრდა მებრძოლებს ეძლეოდათ შაშხანა. და მიდიოდნენ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები კოლჩაკისა და დენიკინის, იუდენიჩისა და ვრანგელის წინააღმდეგ. 14 სახელმწიფოს ინტერვენტთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

მტრებთან ბრძოლაში, კომუნისტური პარტიის საბრძოლო დროშებს ქვეშ ვაუკაცდებოდნენ ლენინური კომკავშირის შვილები. ისინი იზრდებოდნენ ხალხის ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის გამობრძმედილ, მტკიცე მებრძოლებად.

ამ საზეიმო დღეს იუბილეს ეუღლოცავთ ოცდაათიანი წლების კომკავშირელებსაც, იმათ, ვინც სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იყო, ვინც ხელს უწყობდა ქვეყნის ინდუსტრიული გულის გამოჭედვას.

ამ წლებში ახალგაზრდა პროლეტარის, გლეხის, მუშაკელის რევოლუციური მანდატი იყო ახალმშენებლობათა კომკავშირული საგზური. ფრონტად, შრომის ფრონტად გადაიქცა პირველი ხუთწლედების მიჯნები. საბრძოლო პაროლად ჟღერდა: დნეპრჰესი, თურქესტან-ციმბირის რკინიგზა, მაგნიტკა, ამურის კომსომოლსკი. კომკავშირი შეფობდა ყველაზე პასუხსაგებ მშენებლობებს, იყო იქ, სადაც ყველაზე მეტი სიძნელე იყო.

ჩვენ გვახსოვს და მუდამ გვეხსომება, თუ როგორ თბრიდნენ საშინელ ყინვაში ქალიშვილები და ჭაბუკები წერაქვითა და ნიჩბით ქვაბულებს, როგორ ტკეპნიდნენ ფეხით ბეტონს.

გაიხსენეთ, მეგობრებო, როგორ სპობდნენ პირველი კომკავშირელები სოფლად არა მარტო ძველ მიჯნებს, არამედ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ძველ ჩვეულებებსაც, სოფლის ცხოვრების მთელ საუკუნოვან წყობას. ყოფილა ხოლმე შემთხვევა, როცა მთელ სოფელში ორი-სამი კომკავშირელი იყო. მაგრამ ისინი მედგრად ებრძოდნენ კლასობრივ მტერს. კომკავშირელებს ვერ აშინებდა კულაკთა ტყვია და ისინი მიუძღოდნენ სოფლის ახალგაზრდობას კოლექტივიზაციისათვის საბრძოლველად.

ქარცეცხლიანი, როგორც იტყვიან, თავბრუდამხვევი დრო იყო. კომკავშირი სწავლობდა თვითონ და თავისი ძალებისა და ცოდნის კვალობაზე სხვებსაც ასწავლიდა. კომკავშირელები ქმნიდნენ უწიგნურობის ლიკვიდაციის წრეებს, ცოდნის საგანძურისაკენ გზას უხსნიდნენ მილიონობით უწიგნურს, მოჰქონდათ ახალი ცხოვრების ჩირაღდანი. დიდია კომკავშირელთა წვლილი იმ ნამდვილ კულტურულ რევოლუციაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა.

ოცდაათიანი წლების ახალგაზრდობა კომკავშირის მატიანეში შევიდა როგორც სტრატოსფეროს მოიერიშე, ინტერნაციონალურ ბრიგადათა რიგებში მებრძოლი, მიყრუებული ტაიგის ამფეთქებელი ახალგაზრდობა. უფროს ამხანაგებთან ერთად კომკავშირელები ამ წლებში ქმნიდნენ სოციალიზმის საძირკველს. ეს საძირკველი შედუღაბებულია უმაგალითო შრომითი გმირობითა და რევოლუციური ენთუზიაზმით.

სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავს გილოცავთ დღეს დიდი სამამულო ომის გმირ კომკავშირელებსაც იმათ, ვინც დედა სამშობლოს პირველი მოწოდებისთანავე, პარტიის მოწოდებისთანავე მამაცურად დადგა სოციალიზმის დასაცავად.

ისევე როგორც მათი დედები და მამები სამოქალაქო ომის წლებში, ქალიშვილები და ჭაბუკები მთელ კომკავშირულ ორგანიზაციებად მიდიოდნენ ფრონტზე. ჩვენს გულში, მომავალ თაობათა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ახალგაზრდა გმირთა საქმენი ფრონტებზე, მტრის ზურგში, ჩარხებთან და საკოლმეურნეო მინდვრებში.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს აღზრდილმა ახალგაზრდა თაობამ დაამტკიცა, რომ მან წლებისა და ათწლეულების მანძილზე სათუთად გამოატარა რევოლუციურ ტრადიციათა ჩიროღდანი.

ისევე როგორც ნიკოლოზ ოსტროვსკის დროს, კომკავშირული ფოლადი ბრძოლათა ქარცეცხლში, დაძაბულ, თავდადებულ შრომაში იწრთობოდა. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, გუშინდელმა მოსწავლეებმა, რომლებსაც მანამდე არ ენახათ არც შიმშილი, არც გაჭირვება, განსაცდელის მძიმე ჟამს გამოიჩინეს ამტანობა, სიმტკიცე და გამარჯვების ურყევი რწმენა.

ზოია კოსმოდემიანსკაია, ოლეგ კოშევოი, ლიზა ჩაიკინა, ალექსანდრე მატროსოვი, ნიკოლოზ გასტელო, მარიტე მელნიკაიტე... საკმარისია წარმოთქვა ეს სახელები, რომ ჩვენს წინაშე წარმოსდგება მასობრივი გმირობის, თავდადების, სულიერი სისპეტაკისა და კეთილშობილების ბრწყინვალე აღმაფრთოვანებელი სურათი, როგორიც არ ახსოვს წინა ეპოქათა ისტორიას.

ასეთები იყვნენ ორმოციანი წლების კომკავშირელები, რომლებიც პარტიამ აღზარდა ლენინიზმის იდეებისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების სულისკვეთებით.

დიახ, ამხანაგებო! ვერავინ და ვერასოდეს ვერ დაამარცხებს ქვეყანას, სადაც ყოველი ახალი თაობა იცავს და ამრავლებს წინა თაობათა საბრძოლო ტრადიციებს.

ჯერ არ მიმწყდარიყო ქვემეხთა გრიალი, რომ პარტიის მოწოდებით კომკავშირმა ხელი მოჰკიდა ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. სულით ძლიერი ახალგაზრდები მოვიდნენ „ზაპოროჟ სტალის“ ქარხანაში, დონბასში, სტალინგრადში, რათა სიცოცხლე დაებრუნებინათ ყოველივე იმისათვის, რაც უფროსმა ძმებმა და მამებმა შექმნეს და რაც ბარბაროსულად მოსპო მტერმა.

უმაგალითოდ მოკლე ვადებში მოვიშუშეთ ომით მიყენებული ღრმა ჭრილობები. იქ, სადაც მტრის მიერ გადაბუგული მიწა იყო, ყანები აბიბინდა, აღიმართა ქარხნების კორპუსები, ნანგრევებიდან აღსდგა ქალაქები და სოფლები. ეს იყო დიდი შრომითი გმირობა.

ჩვენი დღეების კომკავშირი — ეს არის კომუნიზმისათვის ოცდასამი მილიონი ახალგაზრდა მებრძოლი, ასზე მეტი ერისა და ეროვნების ქალიშვილები და ჭაბუკები. ეს არის თაობა, რომელიც სამამულო ომის შემდეგ გაიზარდა.

თუმცა ეს თაობა ყველაზე ახალგაზრდაც არის, მაგრამ მან უკვე ბევრი სასახელო საქმე მოახდინა. ამის დადასტურებაა დამკვრელური კომკავშირული მშენებლობანი, ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი მიღწევები.

ჩვენთვის წარმოუდგენელია კომკავშირის ბიოგრაფია ბრატსკის, რუდნის, ნორილსკის, სუმგაითის, რუსთავისა და ბევრი სხვა მშენებლობის ეპოპეის გაუხსენებლად. 350 ათასი ახალგაზრდა გაემგზავრა კომკავშირული საგზურებით უამირის გასატეხად. ათასობით მოხალისე მონაწილეობს გიგანტური კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში და თავდადებით შრომობს ხუთწლედის გადამწყვეტ მშენებლობებზე. ახლანდელ კომკავშირელებს, ისევე როგორც მათ უფროს ძმებს, აქვთ თავიანთი სამახსოვრო ნიშანსვეტები, ჰყავთ თავიანთი გმირები, რომლებსაც ბაძავს მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ კომკავშირული ცალა ღირსეულად განაგრძობს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა წინა თაობების საქმეს.

ამხანაგებო! დღეს, ახალგაზრდობის ლენინური კავშირის 50 წლისთავის წინ, ჩვენ სასოებით ვიხსენებთ იმ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, თავდადებულ გმირებს, კომკავშირის მრავალმილიონიანი არმიის მებრძოლებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენს საერთო საქმეს.

ტყვიის ქურთუკიანი ქალიშვილი, რომელიც თეორგვარდიელის ტყვიამ განგმირა, ჯარისკაცის გიმნასტორიანი ჭაბუკი, რომელიც მკერდით გადაეფარა ფაშისტური საცეცხლე წერტის ამბრაზურას, — ისინი დღეს ჩვენთან არიან. ჩვენ ვიგონებთ და ვლაპარაკობთ მათზე არა როგორც დაღუპულებზე, არამედ როგორც ცოცხლებზე. ისინი ახალგაზრდები იყვნენ, როცა სიკვდილმა გამოსტაცა მებრძოლთა რიგებს. მაგრამ მარად ახალგაზრდები, ისინი დღესაც ჩვენთან არიან. გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ახალგაზრდა მებრძოლთა და ახალი საზოგადოების მშენებელთა ხსოვნას, რომლებმაც ლენინის უკვდავი იდეალების გამარჯვებას შესწირეს ყველაზე ძვირფასი, რაც ჰქონდათ, — თავიანთი სიცოცხლე.

ამხანაგებო! კომკავშირის ამოცანები სოციალიზმის მშენებლობასა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში ლენინმა განსაზღვრა კომკავშირის მესამე ყრილობაზე 1920 წელს. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა განმარტა ახალგაზრდობის კავშირის მუშაობის შინაარსი, მეთოდები, კონკრეტულად გვიჩვენა, თუ რას უნდა აკეთებდეს კომკავშირი როგორც კომუნისტური პარტიის თანაშემწე, განსაზღვრა ახალგაზრდობის როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

გენიალური განჭვრეტის ლენინური ნიჭი იყო საჭირო, რომ განსაცდელის ჟამს, როცა საბჭოების ახალგაზრდა ქვეყანა ინტერვენციის, შიმშილის, ამბოხებებისა და გაჩანაგების მარწუხში იყო მოქცეული, ჩასწვდომოდი ზომავალს და გეგვენებინა ახალგაზრდობისათვის კომუნისტური ხვალინდელი დღის გზა.

თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ლენინმა თავისი სიტყვა წარმოთქვა. მაგრამ ყოველი ახალი თაობა უცვლელად მიმართავს მას, როცა სურს პასუხი გასცეს იმ საკითხებზე, რომლებსაც ცვალებადი ვითარების ახალი პირობები აყენებენ.

ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვა იყო და არის ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი თეორიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მის ამოცანებს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ლენინის ანდერძისამებრ, ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი რევოლუციურ ბრძოლისა და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მამობრივად ზრუნავდნენ ახალგაზრდობისათვის.

ჩვენი პარტიის მიერ კომკავშირისათვის მიცემული ყველა რჩევა, ახალგაზრდა ცვლისადმი ყველა მისი მოწოდება გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით იმაზე, რომ ახალგაზრდობა იყოს კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, ყველა საერთო სახალხო საქმეში იჩენდეს ინიციატივასა და თაოსნობას.

პარტია კომკავშირისათვის ყოველთვის იყო უფროსი მეგობარი, კეთილი მრჩეველი და მასწავლებელი, ყოველთვის ახლოს მიჰქონდა გულთან ახალგაზრდა თაობის ფიქრები, საჭიროებანი, მისწრაფებანი.

ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია მისწრაფება მომავლისაკენ, რადგან თვითონ არის მომავალი. იგი მიჰყვება კომუნისტების პარტიას იმიტომ, რომ პარტია მიუძღვის მშრომელებს მომავლისაკენ, დიადი მიზნისაკენ, რომელიც ყოველთვის იტაცებდა და შთაგონებდა მოწინავე ახალგაზრდობას, — კომუნიზმისაკენ!

ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ დროში, როცა ქვეყანაში ფართო ფრონტით გაჩაღდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, როცა იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ აამენა რა სოციალიზმი, საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მძლავრი საწარმოო ძალები, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

შეხედეთ, რა მიჯნებს მიაღწია დღეს ჩვენმა სამშობლომ: ფოლადის გამოდნობა აღწევს 107 მილიონ ტონას, ნავთობის მოპოვება წელს 300 მილიონ ტონას გადააჭარბებს, ქვანახშირის ამოღება მიაღწევს თითქმის 600 მილიონ ტონას, ელექტროენერგიის წარმოება — 640 მილიარდ კილოვატ-საათს!

მაგრამ პარტია ყოველთვის წინ იყურება. მასშტაბებითა და შინაარსით ახალი ამოცანები დაგვისახეს სკკპ XXIII ყრილობამ, ჩვენი პარტიის პროგრამამ. უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სრულყოთ სოციალისტური დემოკრატია, სულ უფრო სრულად გამოვავლინოთ სოციალისტური წყობილების უპირატესობანი და შემოქმედებითი შესაძლებლობანი, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრების პირობები.

ჩვენ უნდა ვაშენოთ და ვაშენოთ — ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და ელექტროსადგურები, ახალი ქალაქები და დაბები, სარწყავი სისტემები და ელექტროგადაცემის ხაზები, მილიონობით ახალი ბინა, ათასობით სკოლა, საბავშვო ბაღი. ჩვენი ვიცით, თუ რა ზღაპრულად მდიდარია ჩვენი სამშობლოს წიაღი. მაგრამ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ახლა, როცა ექსკავატორი და ბულდოზერი, და არა წერაქვი და ნიჩაბი, გადაიქცნენ ახალშენების სიმბოლოდ, როცა ბურღების ალმასის ბუნიკები 5-6 კილომეტრზე სწვდებიან მიწას, შეგვიძლია ნამდვილად გამოვიყენოთ ჩვენი ბუნებრივი რესურსები.

ჩვენი საქმეების მასშტაბზე, ჩვენი გეგმების სითამამეზე, იმის გრანდიოზულობაზე, რასაც ვაკეთებთ და რაც უნდა გავაკეთოთ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც ასეთი მაგალითებით. თათრეთიდან დასავლეთისაკენ ბრესტამდე და აღმოსავლეთისაკენ ირკუტსკამდე თითქმის 9 ათას კილომეტრზე გადაიჭიმა ჩვენი ქვეყნის ნავთობის ახალი არტერია. ახლა კი რიგში დგას გაზსადენის გამოყვანა ციმბირიდან, სადაც გაზის უმდიდრესი მარაგი დღემდე მიუწვდომელი იყო ადამიანისათვის. ციმბირის გაზს მიიღებს ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილი. გაზი გამოიკვლის ტაიგას, მდინარეებსა და მთებს და მოვა ქალაქებსა და დაბებში, საწარმოებსა და საცხოვრებელ სახლებში. ან ავიღოთ საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური, რომლის მშენებლობა წელს დაიწყო. იგი ათი დნეპრჰესის ტოლი იქნება. აი როგორია მასშტაბები ჩვენს დროში!

ყველა ამ დიდ საქმეში კომუნისტური მშენებლობის ყველაზე მოწინავე ხაზზე დღეს, ისევე როგორც წინათ, დგას ჩვენი სახელოვანი მუშა ახალგაზრდობა — კომკავშირის სული და გული. იგი ღირსეულად განაგრძობს სსრკავშირის გმირი მუშათა კლასის უფროს თაობათა რევოლუციურ ტრადიციებს, უნარიანად ითვისებს წარმოების ვეტერან ოსტატთა მაღალ ხელოვნებას. ახალგაზრდა მუშების ოქროს ხელები ამრავლებენ ჩვენი სამშობლოს დოვლათს, ქმნიან საფუძველს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ხორცს ასხამენ ჩვენი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების გბედულ იდეებს.

მიმართავს რა ქარხნებისა და ფაბრიკების კომკავშირელებს, პარტია ამბობს: იყავით ახლის, მოწინავის წამოწყებნი, ტექნოლოგიისა და წარმოების პროცესში შეიტანეთ ახალი აზრი, გამოიჩინეთ საზრიანობა, გამომგონებლობა, იყავით რუტინისადმი შეურიგებელნი.

ჩვენ ახლა უფრო მეტ ბინებს ვაშენებთ, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანა. მიმდინარე ხუთწლედში საბინაო პირობებს გაიუმჯობესებს და ახალ სახლებში გადავა 60 მილიონზე მეტი კაცი. არსებითად მიმდინარეობს მთელი ჩვენი ქვეყნის საბინაო ფონდის განახლების პროცესი. ჩაუფიქრდით, ძვირფასო ამხანაგებო, ამ პროცესის სოციალურ არსს. მალე აღარ იქნება ჯერ კიდევ მეფის დროიდან შემორჩენილი წარსული წლების დაძველებული სახლები და ბარაკები. მილიონობით ოჯახი გადადის ნათელ თანამედროვე სახლებში, იღებს ცალკე ბინებს ელექტრობით, გაზით, ცხელი წყლით. ეს ნიშნავს, რომ ძირფესვიანად იცვლება ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, უმჯობესდება მათი კულტურული დასვენების, სწავლის, ბავშვთა აღზრდის პირობები.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ბინებისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ არის სიძნელენი, ჯერ კიდევ ყველა ვერ ცხოვრობს ისე, როგორც გვსურს, ჯერ კიდევ არის მუშათა საერთო საცხოვრებლებიც. ამას ცოტა ხით უნდა შეეურიგდეთ. ეს სიძნელენი, როგორც იცით, წლითიწლობით მცირდება მშენებლობის გაქანების კვალობაზე. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს მშენებლებზე.

როგორც ხედავთ, მშენებლის პროფესია კვლავაც დიდად საპატიო იქნება. და პარტიას სწამს, რომ მშენებელთა რიგებს შეემატებიან ახალგაზრდობის ახალი რაზმები. გვსურს, რომ კომკავშირული მშენებლობანი გაიზარდოს ყველაზე სწრაფი ტემპით და დადგნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე, რომ კომკავშირელი მშენებლები ყველგან და ყოველთვის იყვნენ მისაბაძნი. ვაშენოთ სწრაფად, ვაშენოთ კარგად, რაც შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ ტექნიკა და მატერიალური რესურსები — აი რა გვჭირდება ახლა, აი რისთვის უნდა იბრძოდეს კომკავშირელი მშენებლობაზე!

დაე ყველავაც იბრძოლოს ჩვენმა ახალგაზრდობამ დიდი პატივისათვის იყოს პირველი მშენებელი, მემონტაჟე, იმ ქალაქების პირველი მცხოვრები, რომლებიც ჯერ არ არის რუკაზე აღნიშნული. ჩვენმა გეგმებმა, ჩვენმა ჩანაფიქრებმა არ შეიძლება არ აღაგზნოს ახალგაზრდები, რომელთათვის ასე მახლობელია მძიმე შრომის რომანტიკა, პირველაღმომჩენთა სიხარული.

მაგრამ თუ რომანტიკაზე ვილაპარაკებთ, ამხანაგებო, როგორ არ შევეხოთ იმ ჰორიზონტებს, რომლებიც ახალგაზრდა გამჭრიახი გონების წინაშე გადაშალა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა ზრდამ, ფიზიკის, ქიმიის მიღწევებმა, აღმოჩენებმა ბიოლოგიაში.

ენერგიის გიგანტურ, ჩვენს ატომურ საუკუნეშიც კი ჯერ არნახულ რესურსებს მიიღებენ ადამიანები. რომლებმაც ისწავლეს ატომური ბირთვის სინთეზის პროცესის მართვა. კოსმოსის კვლევაში შემდგომი წარმატებანი შესაძლებელს გახდიან არა მარტო უშუალოდ გავეცნოთ მთვარესა და მეზობელ პლანეტებს, არამედ კიდევაც გამოვძებნოთ საშუალებანი სამყაროს სხვა საიდუმლოებათა ამოსახსნელად, რომელთა ახსნა უდიდეს გავლენას მოახდენს მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ პროგრესზე. გენეტიკის კანონების შეცნობა საშუალებას მოგვცემს ვმართოთ მემკვიდრეობითობა, გავლენა მოვახდინოთ ცოცხალი ორგანიზმების ჩამოყალიბებაზე, გადავჭრათ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბევრი პრობლემა, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ კაცობრიობის სასურსათო რესურსები.

თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ ჩვენს მეცნიერებაში ბევრია კომკავშირელი თუ მუშაკი, რომლებმაც გაიარეს კომკავშირის სკოლა. ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები გამოცდილ მეცნიერებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, შეაქვთ მეცნიერულ შემოქმედებაში ნოვატორობის, გაბედული ძიების სულისკვეთება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ეკონომიური გეგმების წარმატებით შესრულება წარმოუდგენელია ჩვენს სახალხო მეურნეობაში უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენათა გამოუყენებლად.

აი რატომ მოუწოდებს პარტია კომკავშირს: კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს ახალგაზრდობის მოძრაობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისათვის, კიდევ უფრო აქტიურად მოჰკიდოს ხელი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, წარმოების მართვის საკითხებს!

აი რა სარბიელი ეძლევა სოფლის ახალგაზრდობის ინიციატივას, სახელოვან შრომითს წამოწყებებს!

მიმართავდა რა ახალგაზრდობას 1935 წელს, ა. მ. გორკი ამბობდა:

„ჩვენ მთელი ჩვენი მიწა ბაღნარად უნდა გადავაქციოთ, ამოვაშროთ ჭაობები, წყლით უზრუნველვყოთ უწყლო უდაბნოები, გავიყვანოთ არხები და გავაღრმაოთ მდინარეები, ავაშენოთ მილიონობით კილომეტრი გზა, გაწმინდოთ ჩვენი უკიდეგანო ტყეები. ჩვენს ქვეყანაში უნდა მოისპოს კალია, რომელიც ნთქავს პურს, კოღოები, რომლებიც ციებ-ცხელებას უჩენენ ადამიანს... ეს, რა თქმა უნდა, კიდევ არ არის ყველაფერი, არის კიდევ ბევრი სხვადასხვაგვარი, სახალისო სამუშაო პირველი ჭეშმარიტად კულტურული სოციალისტური სახელმწიფოს ასაშენებლად, ეს სამუშაო გელით, და იგი მოითხოვს ფართო მეცნიერულ ცოდნას“.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები ითქვა, ბევრი რამ გაკეთდა. შესრულებულია უდიდესი სამუშაოები უდაბნოების მოსარწყავად, არხების, გზების გასაყვანად, ჭაობების ამოსაშრობად. საბჭოთა მეცნიერებმა, აგრონომებმა, სამოქალაქო ავიაციის მფრინავებმა მოსპეს საშინელი მტერი — კალია, დაამარცხეს ისეთი ბოროტმოქმედიც, როგორიც არის მალარიის კოღო. მაგრამ როგორი შესანიშნავი მუშაობა გველის კიდევ!

დიახ, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც მრეწველობაში, ჩვენ დავიპყარით ახალი მიჯნები. ჩვენ ახლა შეგვიძლია სოფლის მეურნეობას გამოვუყოთ მეტი კაპიტალდაბანდებანი, მეტი მანქანები, სასუქები, ელექტროენერგია. ჩვენ გვინდა სოფლის მეურნეობა შრომის ნაყოფიერებითა და ეფექტიანობით, ტექნიკური აღჭურვილობით ავიყვანოთ ჩვენი მრეწველობის დონემდე.

პარტიამ დაისახა ჭეშმარიტად დიადი მიზანი— იხსნას სოფლის მეურნეობა ბუნების ჭირვეულობისაგან, რომ იგი აღარ იყოს მუდამ დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე, ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება მელიორაციის გრძელვადიანი გეგმა. დიდი სარწყავი სისტემები შენდება ლეგენდარულ კახოკასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, უზბეკეთში და ვოლგისგაღმა; შენდება ყარა-ყუმის არხის მესამე რიგი.

ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ კომკავშირის ინიციატივას, ამ ლოზუნგმაც მოუწოდა ახალგაზრდობას სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს სოფლად, დაეუფლოს აგრონომის, მელიორატორის, ზოოტექნიკოსის, ინჟინრის, მექანიზატორის პროფესიებს, იმუშაოს ფერმებსა და მინდვრებში, წავიდეს სოფლის სკოლებში, საავადმყოფოებში, კლუბებში სამუშაოდ.

— ყაირათიანად გამოვიყენოთ თვითეული ჰექტარი მიწა, მოვიყვანოთ ორი თავთავი იქ, სადაც ერთი მოდიოდა, მივაღწიოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის საერთო აღმავლობას — აი სოფლის ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანა. დიდია კომკავშირის როლი სოფლის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაშიც, სკოლისათვის დახმარების გაწევაში, საკლუბო მუშაობაში, სპორტულ და ახალგაზრდობისათვის სხვა ახლობელ საინტერესო, სასარგებლო საქმეებში.

ჩვენში ყოველ სამუშაოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ყოველგვარი შრომა ერთვის კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ჩვენი ხალხის მეცადინეობის საერთო ნაკადს. მინდა კეთილი სიტყვით მოვიხსენიო კომკავშირელები, რომლებიც მუშაობენ მომსახურებისა და ყოფაცხოვრების სფეროში. ერთი შეხედვით, მათი მუშაობა მარტივი, ჩვეულებრივი გვეგონება. მაგრამ შეიძლება ითქვას, არც ერთი სხვა შრომა არ ახდენს ისეთ გავლენას ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, და, თუ გნებავთ, მათ გუნება-განწყობილებასა და შრომისუნარიანობაზეც. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს ქალაქად და სოფლად ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას. და კომკავშირი აქტიურად უნდა გვეხმარებოდეს ამ დიდ საქმეში.

ერთ-ერთ გამოსვლაში ახალგაზრდობის წინაშე მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა თქვა, რომ ყოველ მუშაობაში, ადამიანთა საქმიანობის ყოველ დარგში შეიძლება შეგვხვდნენ ისეთნი, რომლებსაც ხელოსნობს უწოდებენ, და ისეთნიც, რომლებსაც [illegible] ოსტატებს, ხელოვანთ უწოდებენ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ეკიდებიან [illegible] სულსა და გულს ახმარს თავის მუშაობას თუ ძმიერ ბეგრად მიანია იგი და შრომობს პრინციპით „აქედან და აქამდეო“.

ჩვენი საერთო საზრუნავი ის არის, რომ საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები იზრდებოდნენ არა გულგრილ ხელოსნებად, არამედ იყვნენ თავიანთი საქმის ხელოვანნი, ოსტატნი, საქმით გატაცებული ადამიანები, რომლებისთვისაც შრომა მოთხოვნილებად და სიამოვნებად იქცა.

საბჭოთა წყობილება საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს ქმნის. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი საბჭოების, პროფკავშირების, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობა კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. სამას ორმოცდაათი ათასამდე ახალგაზრდა არჩეულია ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად. ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ახალგაზრდა თაობის 182 წარმომადგენელია.

ძალიან დიდ მუშაობას ეწევიან სტუდენტთა კომკავშირული ორგანიზაციები. კომკავშირი ეხმარება სტუდენტებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, გამოდის საერთო-სახალხო შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში სტუდენტთა მონაწილეობის თაოსნად.

არანაკლებ მუშაობას ეწევა კომკავშირი სკოლაში, განსაკუთრებით პიონერული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობაში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს იოლი საქმე როდია, იგი მოითხოვს გულითადობას, შრომისმოყვარეობას და, როგორც ყოველგვარი მუშაობა ბავშვებთან, მოთმინებასა და გულმოდგინებას; უნარს დაიინტერესო ბავშვები კარგი საქმეებით. ბავშვებს სამუდამოდ ახსომდებათ თავიანთი ხელმძღვანელები. კომკავშირი ღირსეულად ასრულებს პარტიის ამ დიდმნიშვნელოვან და საპატიო დავალებას.

ამხანაგებო! თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ რა შესანიშნავი შესაძლებლობანი არის შექმნილი ჩვენს ქვეყანაში კულტურული ზრდისა და შემოქმედებისათვის. იმდენი თეატრი და კულტურის სასახლე, კინოთეატრი, კლუბი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, რამდენიც ჩვენშია, —არსად არ არის. და ყველაფერი, რაც ამ დარგში საბჭოთა ხალხმა შექმნა, მისაწვდომია ახალგაზრდობისათვის. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გვაქვს აგრეთვე ახალგაზრდობის თეატრები და სბავშვო თეატრები, პიონერთა სასახლეები და სახლები, ახალგაზრდობის მხატვრული სტუდიები, ახალგაზრდობისა და სბავშვო გამომცემლობანი და სხვ. ახალგაზრდა თაობის კულტურული განვითარებისათვის პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ეს ზრუნვა თავის ნაყოფს იძლევა. შეხედეთ. მაგალითად, როგორ გაიშალა ჩვენში მხატვრული თვითმოქმედება; როგორ მაღლდება მის მონაწილეთა ოსტატობის დონე! ჩვენი სახალხო თეატრები, ქარხნებისა და სასოფლო კლუბების შემოქმედებითი გაერთიანებანი, მხატვრული სტუდიები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბები! მათი შემოქმედება არა მარტო ესთეტიკური სიამოვნებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს ჩვენს ქვეყანაში, არამედ აგრეთვე ავლენს და ზრდის ახალგაზრდა ტალანტებს, რომლებსაც უნარი შესწევთ გაამდიდრონ ჩვენი ხელოვნება. რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე, რომ აქა-იქ ჩვენს ახალგაზრდა ავტორებსა და შემსრულებლებს გემოვნება ღალატობთ, მაგრამ სწორედ იმისათვის არსებობენ შემოქმედებითი კავშირები, იმისათვის არსებობს კომკავშირი, რომ დროზე დაინახონ ეს, იზრუნონ, რომ ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა მიმდინარეობდეს მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე. რომ იგი ავითარებდეს ჯანსაღ ვემოვნებას, იყოს სასიხარულო და ცხოველმყოფელი, რომ აკეთილშობილებდეს ახალგაზრდობის შრომასა და ცხოვრებას.

გვინდა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ვხედავდეთ არა მარტო ყოველმხრივ განათლებულსა და სულიერად ლამაზს, არამედ ჯანსაღსაც, გაკაჟებულს, ფიზიკურად ძლიერს, ამ დღეებში ყველა ჩვენგანი თვალს ადევნებს მექსიკის ოლიმპიადას, ყველანი ჩვენი გუნდის გულშემატკივრები ვართ. ყველაფერი ისე არ გამოვიდა იქ, როგორც ჩვენს სპორტსმენებს უნდოდათ. ბრძოლა მართლაც ძნელი იყო, და ჩვენ მივესალმებით გამარჯვებულებს, რომლებიც ოლიმპიური მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში. კვლავაც უნდა ავამაღლოთ ჩვენი სპორტის საერთაშორისო კლასი. მაგრამ მთავარი — ეს არის სპორტული მოძრაობის მასობრიობა, ფიზიკური კულტურის განვითარება, რომელშიც მთელი ახალგაზრდობა ჩაებმება, მისი ნებისყოფის გამოწრთობა, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ფიზიკური მომზადება შრომისა და თავდაცვისათვის.

ამხანაგებო! კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი სამშობლოს — ყველა ხალხის სოციალიზმის, მშვიდობისა და თავისუფლების საიმედო ბურჯის ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა კავშირის მთელ ხალხს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიაჩნიათ.

ჩვენ არასოდეს არ გამოგვიყვია ჩვენი ამოცანები და საქმეები ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების საერთო საქმიდან — მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობის საქმიდან, ინტერნაციონალიზმი, შეიძლება ითქვას, ყველას სისხლში გვაქვს გამჯდარი. ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეებისაგან

ლენინური კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავის ამ საზეიმო დღეებში საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთ მზერას, ყველაზე სანუკვარ ფიქრებს, გრძნობებსა და სიტყვებს მოგმართავენ შენ, კომუნისტთა პარტიავ, ლენინის პარტიავ!

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი კომკავშირი ცოცხლობს, იბრძვის, შრომობს პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. მან შეაიარაღა კომკავშირი მარქსიზმ-ლენინიზმის „ყოვლისმძლე მოძღვრებით, ფრთები შეასხა ნდობით, ახალგაზრდობის რევოლუციური ენერგია წარმართა კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ კომუნისტთა პარტიასთან, ნოვატორთა და შემოქმედთა პარტიასთან, მგზნებარე რევოლუციური საქმის პარტიასთან ერთად არის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისადმი დიდად არის დაფასებული კომკავშირის საქმიანობა. პარტიას იგი მიაჩნია თავის ერთგულ თანაშემწედ, კომკავშირს ანდობს პასუხსაგებ საქმეებს, იმედს ამყარებს მასზე. საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა კომკავშირისადმი ბრძოლით მოიპოვეს ახალგაზრდა უშიშარ მებრძოლთა თაობებმა, რომლებმაც მის რიგებში განვლეს რევოლუციური წრთობის სკოლა, ლენინიზმის სკოლა.

დღეს კომკავშირის დროშაზე ბრწყინავს სამშობლოს ახალი მაღალი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ამ ორდენით აღინიშნა იმ კომკავშირელთა გმირობა, რომლებსაც იერიში მიჰქონდათ პერეკოპსა და ბერლინზე, რომლებიც აშენებდნენ მაგნიტკასა და ბრატსკს. მძლავრი სოციალისტური სამშობლოს შემქმნელი დიდი ხალხის ერთგულ შვილთა გმირობა. მათი გმირობა, მათი ერთგულება ხალხისადმი მუდამ ჩვენს გულში იქნება!

კომკავშირის საქმიანობის მაღალი შეფასებაა მთელი რიგი საუკეთესო კომკავშირული ორგანიზაციების საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოება.

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით მხურვალე მადლობას ვუხდით პარტიას, ხალხს, საბჭოთა სამშობლოს ჩვენთვის ამ ძვირფასი ჯილდოებისათვის და აღვუთქვამთ, რომ ახალ სახელოვან ფურცლებს ჩავწერთ ლენინური კომკავშირის მატიანეში, მუდამ ვიქნებით კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ჩვენს მაღალ მოვალეობად მიგვაჩნია დაუცხრომლად ვაგრძელებდეთ მამათა რევოლუციურ საქმეს. საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების საფუძველი მუდამ იქნება ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციები.

ჩვენ მოგველის დიდი შემოქმედებითი მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“ განსაზღვრავს სრულიად საკავშირო ალკკ საქმიანობის მთავარ მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების გზებს. ლენინური კომკავშირი არ დაიშურებს ძალღონესა და ცოდნას, ნებისყოფას და სიბეჯითეს ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

საიუბილეო სრულიად საკავშირო კომკავშირული კრების პატაკებსა და რეზოლუციებში, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი, გაისმა ახალგაზრდობის მისწრაფება კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს ჩვენი პარტიის გარშემო, თავდადებული შრომით განამტკიცოს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, დაუცხრომლად განავითაროს კომუნისტთა მაღალი თვისებანი, შემოქმედებითად დაეუფლოს რევოლუციურ თეორიას, იყოს ერთგული მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებისა!

კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს თავიანთ მოწოდებად მიაჩნიათ ის, რომ დაუცხრომლად იჩენდნენ ინიციატივას, ნოვატორობას, ამტკიცებდნენ სოციალისტურ დისციპლინას, ამკვიდრებდნენ შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას. სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში ჩვენს უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია დაეუფლოთ თანამედროვე ცოდნას, ავიმაღლოთ კვალიფიკაცია, სრულყოთ ოსტატობა. კომკავშირი შეასრულებს პარტიის დავალებას — გააჩაღებს ახალგაზრდობის ჭეშმარიტად მასობრივ მოძრაობას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დასაუფლებლად.

ვამაყობთ ჩვენი ქვეყნით, ვამაყობთ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთობით, მეგობრობითა და ძმობით — სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრი და ურღვევი ძალით. კომკავშირი კვლავაც ყველაფერს იღონებს, რომ განამტკიცოს სოციალისტურ ერთა კავშირი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის მიზანია კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა, სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცება და იმპერიალიზმის ხრიკების გადაჭრით უკუგდება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა, მშვიდობის განმტკიცება და ახალი ომის თავიდან აცილება.

საბჭოთა ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ გადაჭრით აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას, და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ გაიმარჯვებს მებრძოლი ვიეტნამის სამართლიანი საქმე!

ჩვენ წმინდად გავუფრთხილდებით და დავიცავთ ყოველგვარი ხელყოფისაგან მეგობრობას, რითაც დაკავშირებულია სოციალისტური ქვეყნების ხალხები და ახალგაზრდობა, მეგობრობას, რომელიც შედუღაბებულია ჩვენ ნამარნა და უფროს ძმათა, რევოლუციონერთა და მებრძოლთა სისხლით. განმტკიცებთ პლანეტის პროგრესული ახალგაზრდობის მეგობრობასა და სოლიდარობას, გავუწევთ დახმარებას სოციალური უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. კვლავაც მტკიცედ ვიდგებით პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, ჩავინერგავთ შეუნარგებელ სიძულვილს ჩვენი კლასობრივი მტრებისადმი.

ლენინური კომკავშირისათვის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის არა არის რა იმაზე უფრო წმიდათაწმიდა და მაღალი ვალი და მოვალეობა, ვიდრე სამშობლოს დაცვა და თუ მტერი გაბედავს და ხელყოფს ოქტომბრის მონაპოვრებს, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობას, — არ შედრკება ჩვენი გული და მტკიცე იქნება ჩვენი ხელი.

ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით მიიღებს მონაწილეობას საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მაღლა ატარებს ჩვენი რევოლუციის წითელ დროშას, მარად ცოცხალი ლენინური მოძღვრების დროშას!

ჩვენს წინ დიდი და ნათელი მიზანია დასახული! წინ მოგველის ბრძოლა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნამდვილი ბედნიერება. წინ მოგველის გამარჯვება — კომუნიზმის გამარჯვება!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!
გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს!
დიდება დიდ ლენინს!
დიდება ოქტომბერს!
გაუმარჯოს კომუნიზმს!

ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ!

საზეიმო პლენუმის მონაწილეებს პირველი მიესალმება სამოცდაათი წლების კომკავშირის წარმომადგენელი. მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მეალეკი ვ. ა. შახტარინი. ეს დღე ჩვენთვის, თქვა მან, დაუვიწყარი დღეა. ლენინურ კომკავშირს მიენიჭა კიდევ ერთი ჯილდო, რომელიც სამართლიანად ეკუთვნის ყველა თაობის კომკავშირელებს. ოქტომბრის რევოლუციის ორდენი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია იმიტომ, რომ ოქტომბერმა ჩვენს ახალგაზრდობას მოუტანა ბედნიერება, ნათელი, საამური ცხოვრება.

ახალგაზრდა მუშამ, რომლის მამა აშენებდა მაგნიტკას, მღელვარედ ალაპარაკა თავისი შობლიური ქალაქის დღეგრძელობის, საზეიმო წლების კომკავშირელთა შრომითი საქმეების შესახებ.

ვ. ა. შახტარინმა თქვა, რომ ახალგაზრდობა წმიდად იცავს ძველი თაობების შესანიშნავ ტრადიციებს. ახლანდელ ახალგაზრდობას, არა აქვს იმაზე მშვენიერი მიზანი, ვიდრე ბაბაჯდეს უფროს ძმებსა და მამებს, თავის ძალსა და ცოდნას ახმარდეს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

პლენუმს მიესალმნენ ოციანი წლების კომკავშირული თაობის წარმომადგენლები, ვეტერანთა რიგში აღიან კომკავშირელი პოეტი ა. ბეზიმენსკი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ა. სოკოლოვ-სოკოლინსკი, რომელიც თექვსმეტი წლისა პოლკის კომისარი იყო, კომკავშირის პირველი ორგანიზატორები.

ტრიბუნაზეა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეცხრე ყრილობის დელეგატი, 22-24 წლების რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის პროფესორი ვ. ფ. ვასიუტინი.

— ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, თქვა მან, თითოეული ჩვენგანი, ოციანი წლების კომკავშირელი, დიდად ღელავს და დიდ სიხარულს განიცდის. თითქოს ჩვენ კვლავ განვიცდიდეთ ჩვენს კომკავშირულ სიჭაბუკეს. მხურვალედ. მგზნებარედ მოგესალმებით თქვენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო.

ზოგიერთ ჩვენგანს, დიდი ბედნიერება ხვდა წილად — მონაწილეობა მიეღო კომკავშირის შექმნაში, ბევრი იბრძოდა რევოლუციის ბარიკადებზე. ახლა მე და ჩემი ამხანაგები, რევოლუციის პირველი წლების კომკავშირელები, უკვე სამოცდაათი წლისა ვართ. კომკავშირის რიგებში ჩვენი შვილიშვილები არიან, მაგრამ ჩვენ თქვენთანა ვართ.

რევოლუციის პირველი წლების კომკავშირელთა თაობის სახელით ორატორმა ახლანდელ კომკავშირელებს მოუწოდა მუდამ იბრძოდნენ, ცხოვრებაში ეძებდნენ საგმირო საქმეებს, ბოლომდე ავნენ პარტიის საქმის ერთგულნი.

ტრიბუნაზეა უხუცესი კომკავშირელი პოეტი ალექსანდრე ბეზიმენსკი. ზეიმის მონაწილეებს მან ლექსით მიმართა:

Когда нам было всем по восемнадцать,
А комсомол недавно лишь возник,
Привыкли мы друг к другу обращаться
И весело, и ласково — Старик!..
...Ни грамма дряхлости у нас вы не найдете,
Шаги у нас тверды и широки.
Мы старше комсомола, но в работе —
Он не старик, и мы не старики!

გაისმის პიონერული საყვირების ხმა. თავისი უფროსი ძმისა და ხელმძღვანელის — კომკავშირის მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი ლენინელები.

ბავშვთა მხიარული გუნდები დარბაზს მოეფინა. გოგონებსა და ბიჭებს წითელი ბუდიონოვრები ახურავთ. პიონერებმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, კომკავშირელებს, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, საზღვარგარეთელ სტუმრებს თეთრი ასტერები და წითელი მიხაკები მიართვეს.

დღეს ნორჩმა ცვლამ უფროსებს უპატაჟო პატრიოტული საქმეები, ხუთიანები, და ოთხიანები, ხალხის დიდების გზებით ლაშქრობები, რომ ვიეტნამელ ბავშვებს სოლიდარობის ხომალდებით გაუგზავნეს საჩუქრები. გაისმის ლექსი, რომ პიონერთა ოცმიდიონიანი არმია მზად არის კომუნიზმის მშენებელთა ესტაფეტის წასაღებად:

Клянусь по-ленински учиться,
Учусь по-ленински трудиться,
Бороться, действовать, мечтать!

როცა ზეიმის თავმჯდომარემ დასახელა ოცდაათიანი წლების კომკავშირული თაობის წარმომადგენელთა გვარები, პლენუმის მონაწილეებმა ტაში დაუკრეს. მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი მშენებელი ტ. ვ. ფიოდოროვა, სახელგანთქმული მესაზღვრე ნ. თ. კარაეუნა, ხუთსაინთა მძიღაობის წამომწყები მ. ს. დემჩენკო, იმ წლების სახელმოხვეჭილი ფეიერი მ. ი. ვინოგრადოვი მოვიდნენ პლენუმზე თანამოლებთან ერთად, მათი სახელით კომკავშირელებს მიესალმა სოციალისტური შრომის გმირი ბ. ო. კრივონოსი — სამხრეთ-დასავლეთი რკინიგზის უფროსი, ტრანსპორტზე სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი.

ბ. ო. კრივორნოსმა კომკავშირელებს მოაგონა სიტყვები, რომელიც შრომის დამკვრელთა პაროლი იყო: ეს სიტყვაა —„ვაშენოთ!“, „ვაშენოთ დნეპრჰესი!“, „ვაშენოთ მაგნიტკა!“, „ვაშენოთ სტრაქტორი!“. მისი თანატოლები ეფრიალებდნენ სოციალისტური შეჯიბრების პირველ დროშებს. მოსკოვში გამომგზავრების წინ, თქვა ბ. ო. კრივორნოსმა, დაინტერესდი, თუ როგორ დადიან მატარებლები სლავიანსკ-ლოზოვაიას უბანზე, სადაც ოდესღაც ჩვენ რეკორდი დავამყარეთ, და სიხარულით შევიტყე, რომ ეს რეკორდი, რა თქმა უნდა, დიდი ხანია გაუუმჯობესებიათ.

ბ. ო. კრივონოსმა კომკავშირელებს უსურვა დიდი სიჩქარენი მუშაობასა და სწავლაში.

საბჭოთა გლეხობის ახალგაზრდა ცვლის სახელით სიტყვა წარმოთქვა გროდნოს ოლქის კოლმეურნეობა „სლავა ტრუდუს“ მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირმა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ნ. ი. ხოლოპო

ძალაან რუსთავის მოწინავე კომკავშირელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მგრეხავი ნ. ბაბაური, მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროს მილის მჭრელი ბ. თოფურია, ქიმიური კომბინატის ლაბორანტი ნ. შაპერდაშვილი, ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის ზეინკალი შ. ბიძინაშვილი და ამავე ქარხნის მგრეხავი ნ. ბაბრიჩიძე, ქიმიური კომბინატის ელექტროზეინკალი ბ. ფირცხალაიშვილი, მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ოპერატორი მ. მურუსიძე, მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე ძ. ფერეთელი, ენერგოგასალების საამმართველოს კონტროლიორი ზ. მესხიშვილი, ქიმიური კომბინატის ელექტროზეინკალი ბ. მალრაძე, მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ბორისენკო, ამწემშენებელი ქარხნის ზეინკალი ა. ძაგოევი.
ფოტო ვლ. ბინზაშვრგისა.

ზეიმობს რუსთავის ახალგაზრდობა

(დასასრული)

წვიზ. ის საინტერესო მოგონებებით გამოვიდა რუსთავის პირველი მშენებლობების შესახებ და უდიდესი კმაყოფილება და აღტაცება გამოთქვა იმის გამო, რომ ოდესღაც მცირერიცხოვანი ორგანიზაცია ახლა ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი დიდი მებრძოლი რაზმია.

სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა რუსთავი კომკავშირის 50 წლისთავს. აქაურმა ახალგაზრდებმა მაღალი წარმატებები მოიპოვეს შრომისა და კულტურული ცხოვრების ფრონტებზე. სწორედ ამ შუამავლობენ მიუძღვნეს მათ ძვირფასი ინიციატივა — გაეხსნათ პირადი ანგარიშები და ახალი შრომითი წარმატებები ჩაეწერათ მასში.

ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, საპროექტო ინსტიტუტებში და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა კომკავშირის ოუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ღია კომკავშირულ კრებებზე ქალაქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა განსაზღვრეს თავიანთი პერსპექტივები შრომასა და ყოფაცხოვრებაში, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი ზოგადსაგანმანათლებლო და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ დღეებით გაჩაღებულ ლაშქრობაში ჩაება ქალაქის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია. 73 კომკავშირულ - ახალგაზრდულმა ბრიგადამ გამოაცხადა ბრძოლა „ალაკ 50 წლისთავის“ სახელის მოსახვეჭად. ამ ბრიგადებში გაერთიანდა 1.617 ახალგაზრდა. 3.316 კომკავშირელი ჩაება მმართველობისა და უყირთიანობისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

ამ საიუბილეო დღეებში განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს მეტალურგიული და ამწესამშენებლო ქარხნების, ქიმიური კომბინატისა და ამიერკავკასიის ტრუბების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირული ძალებით მთელ ქალაქში გაწეულია 150 ათასი მანეთი ეკონომია. კომკავშირელთა აქტიური შეტევის შედეგად ეგზმის გადამეტებით წარმოებულია ასობით ტონა კაპროლაქტამი, მინერალური სასუქები, თუჯი, ფოლადი, მილები, ამწეებიდ ურუბი, ცემენტი და სხვ. მარტო მეფოლადე დ. ბარათაშვილის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელიც ბ. ძნელაძის სახელობის ღუმელზე მუშაობს, რვა თვეში ბეგმის ზვითი გამოადნო 2.600 ტონა ფოლადი, გასწია 15 ტონა პირობითი საწვავისა და 20 ტონა ნედლეულის ეკონომია.

როცა დღევანდელი რუსთავის კომკავშირელთა ცხოვრებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მებრძმედე დ. კილაძის, მექანიკოს კ. კირიანოვის, მემონტაჟე ვ. ბუციშვილის, მეარმატურე გ. გოგიძის, ამწეოს დ. გიკორიშვილის, ქიმიკოს ზ. ბუაძისა და სხვათა სიმამაცე. მათ კომკავშირის ზეიმის ამ დღეებში არაჩვეულებრივი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს და ამით საკუთარი წვლილი შეიტანეს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამ დღეებში კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა შეაჯამა კომკავშირის იუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო ქიმიური კომბინატის პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია (მდივანი გ. რუხაძე). გამარჯვებულთა ადგილები დაიკავეს აგრეთვე მარტენის საამქროს № 7 ღუმელის დ. ბარათაშვილის ბრიგადამ, ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. გოგიძე), ქიმიური კომბინატის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ცვლამ (ხელმძღვანელი დ. გიკორიშვილი), № 52 კომკავშირულ-ახალგაზრდულმა მაღაზამ (ხელმძღვანელი ვ. ტრაპაიძე), № 1 ავტოსატრანსპორტო კატორის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ავტობუსმა (მძღოლი რ. რემეზოვი).

...ეროვნული წუთითაც არ ეყდება დგანების, აგრეგატების, ღუმელების ხმაური რუსთავის საწარმოოებში — ეს ჩვენი ახალგაზრდობა დგას ლენინურ ვახტზე და სამშობლოს საკეთილდღეოდ სულ მეტი რაოდენობით იძლევა თუჯს, ფოლადს, ამწემანქანებს, ცემენტს, მილებს, მინერალურ სასუქებს და რუსთავის მარკის სხვა პროდუქციას.

მარჯვენა დაგელოცოთ, ჩვენო რუსთაველო ახალგაზრდებო! კვლავაც მრავალი საგმირო საქმე გეკეთებინოთ კომკავშირის დირსების დასაცავად!

ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ეძღვნება დიად თარიღს

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსეკციის სხდომა თბილისში

25 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივანი ხ. შიმერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის პრეზიდენტი ი. შანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოს განყოფილების გამგე მ. ბოლი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის პრეზიდიუმის წევრები ბ. პანაშისი (ბულგარეთი), ბ. კპაშინსკი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ო. ლინტუნენი (ფინეთი), მ. ბუბამპა (სსრ კავშირი), რუმინეთის ფოტოტრეპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარე, რუმინეთის პრესის საგაზეთო მთავარი რედაქტორი ა. ბინშუ, პოლონეთის ფოტოგრაფიის ცენტრალური საგაზეთო წარმომდგენელი დ. რაბო-ნოვაკოვსკა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარე ო. ოურქია, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წარმომდგენელი ტ. ქიდელაძე.

შეკრებილთ მიესალმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქმის დირექტორი ვ. ჭიკაურელი. ფოტოჟურნალისტებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ბენერალური სამდივნოს სახელით მიესალმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივანი ხ. შიმერი.

სხდომაზე ინფორმაცია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფოტოგამოფენის მომზადების შესახებ გაკეთდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ფოტოკორესპონდენტთა სრულიად საკავშირო სექციის თავმჯდომარემ, ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ მთავარმა რედაქტორმა მ. ბუბამპამ.

გამოფენის ეგზპონირების პერიოდში გათვალისწინებულია მოეწყოს საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „ლენინიზმის ეპოქის ადამიანი თანამედროვე ფოტოჟურნალისტიკასა და ფოტოსელოგნებაში“.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის პრეზიდენტმა ი. შმანმა დამსწრეთ გაავანა ფოტოსექციის მიერ გაწეული მუშაობა, მოუთხრო ჰაგაში მომავალი გამოფენის „ფოლდპრეს-ფოტო-68“-ის შესახებ და ჰანაში მორიგი გამოფენის „ინტერპრეს-ფოტოსათვის“ მზადების შესახებ.

ინფორმაციათა განხილვაში მონაწილეობდნენ პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის დელეგატები. (საქმესი).

„მარად ერთად“

მეგობრობის ღრმა ფესვები აკავშირებს მახარაძის რაიონის მშრომელებს მოძმე უკრაინის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეებთან. 30 წელია გრძელდება ეს ურთიერთობა. ამ დღეებში მახარაძის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა — „მარად ერთად“, რომელიც მოძმე ხალხის მეგობრობას მიეძღვნა.

პიესის ავტორია მახარაძელი ეურნალისტი ნუგზარ ქინქლაძე, სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გურამ რუხაძემ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. (სკკ. კორ.).

ᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔᲑᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

ოლიმპიადის ფინიშთან მიდლების უკანასკნელი კომპლექტებისათვის ბრძოლა მეტად გამწვავდა და არაფერია იმაში გასაკვირვებელი, რომ სიურპრიზების რიცხვმაც იმატა. ასპარეზობის მეცამეტე დღეს 24 ოქტომბერს მართალია, გვქონდა წარმატებები, მაგრამ სინანულიც განვიცადეთ.

სასიამოვნო სიურპრიზად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ჩვენმა რაბერიტ ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. ნოვიკოვა, ა. ზაბელინა, გ. გორობოვა, ტ. სამუსენკო და ს. ჩირკოვა, ფინალში დაამარცხა უნგრეთის ძლიერი კოლექტივი ანგარიშით 9:3 და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

საერთოდ ჩვენს მოფარიკაკეებს ვერ დავემდურებით. მათ დღეისათვის გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე ტოკიოს ოლიმპიადაზე — სამი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი.

როცა ბრძოლაში ტანმოვარჯიშე ვაჟები ჩაებნენ, ბევრი წარმატებას საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს უწინასწარმეტყველებდა. კერძოდ დიდ იმედებს ამყარებდნენ მსოფლიოს ჩემპიონ **მ. ვორონინზე**, რომელიც საკალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებდა. ყველაფერი გადაწყვეტა ნებისმიერმა ვარჯიშებმა, სადაც ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები შეუპოვრად იბრძოდნენ და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს, პირად-საპარეზობაში აბსოლუტური ჩემპიონობის საკითხი გადაწყვიტა ტაიეუნ ვარჯიმმა, სადაც მ. ვორონინმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, იაპონელმა სავაო კატომ კი ბრწყინვალედ შეასრულა ნებისმიერი ვარჯიში. მრავალჭიდში 115,90 ქულა შეაგროვა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მ. ვორონინი გამარჯვებულს 0,05 ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ბრინჯაოს მედალიც იაპონიის გუნდის წარმომადგენელს ვეტერან აკინორი ნაკაიამას ხვდა.

იაპონელებმა გაიმარჯვეს გუნდურ ასპარეზობაშიც. — 375,9 ქულა. სსრ კავშირის გუნდი 571,1 ქულით მეორე იყო. მესამე ადგილი დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

ტოკიოს ოლიმპიადის ფინიშთან ჩვენმა მოკრივეებმა გაგვახარეს. მათ მედლების მთელი კოლექცია მოუტანეს საბჭოთა გუნდს და ეი ახლაც მეხეკოში საქმე ცუდად როდი აქვთ. ფინალში ყველაზე მეტი წარმომადგენელი (5) სსრ კავშირის გუნდს ყოფილა. ეს თქმა უნდა, გვწადია ხუთივემ უმაღლესი ხარისხის მედლით დამშვენოს მკერდი. ეი ჩვენი „ოქროს მაძიებლები“ — ვ. სოკოლოვი, ბ. ლავუტინი, ა. კისელიოვი, დ. პოზდნიაკი და ვ. ჩეპაულიანი.

ფინიშს უანლოდ ეგება ასპარეზობები წყალბურთსა და ფრენბურთში. სპორტის ამ სახეობებში ჩვენი გუნდები ხელცარიელი არ დარჩებიან. მაგალითად, საბჭოთა წყალბურთელებმა დაამარცხეს იტალიის გუნდი ანგარიშით 8:5 და ფინალში გავიდნენ. დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ავსტრალიელებმა, რომლებმაც ნახევარფინალში დაამარცხეს უნგრეთის გუნდი ანგარიშით 8:6.

ამრიგად, დღეს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი და იუგოსლავიის გუნდები.

საბჭოთა ფრენბურთელებსაც ჩინებული მდგომარეობა აქვთ. ჩვენს ქალთა გუნდს დღეს ფინალში პაექრობა ექნება ჩეხოსლოვაკიელ ფრენბურთელებთან.

მედლებს კიდევ ოთხი კომპლექტი ვათამაშდა მეხეკოს საცურაგი აუზში. 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის უძლიერესი იყვნენ ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორები კ. რობი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ა. კოკი (ჰოლანდია). მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ავსტრალიელმა მ. უენდნემ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ამერიკელმა დ. მაიერმა მესამე ოქროს მედალი მოიპოვა, ამჯერად 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

„ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲮᲧᲠᲝᲑᲘᲐᲜ“

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 25 ოქტომბერი. (საკუთარი). „შეეიძლიათ არ ჩათვალოთ ჩემი მედალი იმ ჯილდოებში, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა მეხიკოში“ — განაცხადა მე-19 ოლიმპიადის პრიზიორმა ზანგმა ჯონ კარლუსმა, როცა გამოვიდა აქ რასიზმის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგზე.

თანაგუნდელთან ტომი სმიტთან ერთად კარლუსი იძულებული იყო დაეტოვებინა მეხიკო ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტის განკარგულებით.

შავკანიან სპორტსმენთა „დანაშაული“ იყო ის, რომ გარბენაში გამარჯვების შემდეგ მათ გაბედეს და აშკარა პროტესტი განაცხადეს რასიზმის წინააღმდეგ.

მეფლეობის გადაცემის ცერემონიის დროს ასწიეს შავხელთათმანიანი ხელები, რითაც პროტესტი გამოთქვეს შეერთებულ შტატებში ზანგთა უფლებიანობის წინააღმდეგ. ოლიმპიურმა ბოსებმა არ აპატიეს მათ ეს დემონსტრაცია, რომელიც მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ბრინჯაოს მედალოსანმა კარლუსმა მიტინგზე წყარდ განაცხადა „ჩვენ ყველგან პატივისცემით გვხვდებიან. და მხოლოდ აქ დაბრუნების შემდეგ ძალლებსავით გვეპყრობიან“.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲥᲛᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ აშხაბადში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება. ალექსანდრიამ ჯერ კიდევ წინა დღით ბრძოლის განუახლებლად თავი დამარცხებულად ცნო ზატულოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში. ᲒᲣᲠᲨᲘᲜᲔᲚᲘᲛᲐ დამარცხება განიცადა კონოკლიოვასთან შეხვედრაში, სვეგინამ მოუგო გოლოვე